შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის
რექტორის

ბრძანება № 01-01/01

თბილისი **“16“ იანვარი, 2023 წ.**

გაზაფხულის სემესტრში მობილობის ვადების, ვაკანტური ადგილების და წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხის განსაზღვრის შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N10/ნ ბრძანების, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-15 მუხლის, უნივერსიტეტის დებულების მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის, სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 11.01.2023 წლის N 1.1/3 ბრძანების, სამართლის ფაკულტეტის და ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანების წარდგინებების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

I. 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში, შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების და სამართლის ფაკულტეტებზე სტუდენტთა მობილობის განხორციელების მიზნით გამოცხადდეს ვაკანტური ადგილები შემდეგი რაოდენობითა და მიმართულებებით:

ა. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები:

	საგანმანათლებლო პროგრამა	ვაკანტური ადგილების რაოდენობა	ფაკულტეტი
1	ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი, მარკეტინგი)	20	ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების
2	ტურიზმი	10	ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების
3	ჟურნალისტიკა	10	ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების

4	ფსიქოლოგია	15	ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების
5	სამართალი	20	სამართლის ფაკულტეტი

ბ. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები:

	საგანმანათლებლო პროგრამა	ვაკანტური ადგილების რაოდენობა	ფაკულტეტი
1	საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი	10	ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების
2	მასობრივი კომუნიკაცია	10	ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების
3	სისხლის სამართალი	15	სამართლის ფაკულტეტი
4	კერძო სამართალი	15	სამართლის ფაკულტეტი

II. 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში, შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში მობილობის პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებით განისაზღვროს შემდეგი ვადები:

1. ელექტრონულ პორტალზე დადებითი შედეგის შემთხვევაში სტუდენტის უნივერსიტეტში გამოცხადების/ონლაინ რეგისტრაციის და აუცილებელი დოკუმენტაციის წარდგენის ვადა - 2023 წლის 10 თებერვლიდან -16 თებერვლის ჩათვლით.
2. სასწავლო უნივერსიტეტში მობილობით გადმოსვლის მსურველ სტუდენტთა კრედიტების აღიარება და გაცნობა 2023 წლის 10 თებერვლიდან -16 თებერვლის ჩათვლით.
3. მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა სამართლებრივი აქტის პროექტის სასწავლო უნივერსიტეტის რეესტრში ელექტრონულად ასახვის ვადა - 2023 წლის 17 თებერვალი;
4. სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის თაობაზე ბრძანების გამოცემის ვადა - **2023** წლის **01** მარტამდე.
5. სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ გამოცემული ბრძანების საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში ასახვის ვადა - 2023 წლის 03 მარტის ჩათვლით.
6. სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ გამოცემული ბრძანების მართვის სისტემაში წარდგენის ვადა - 2023 წლის 03 მარტის ჩათვლით.
7. მობილობით გადასული სტუდენტების მიმართ სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანების გამოცემის ვადა - 2023 წლის 06 მარტის ჩათვლით.
9. მობილობით გადასული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანების (თანდართული ელექტრონული ვერსიით) მართვის სისტემაში წარდგენის ვადა - 2023 წლის 07 მარტამდე.
10. მობილობით გადასული სტუდენტების მიმართ სტატუსის შეწყვეტის შესახებ გამოცემული ბრძანებიდან ამონაწერის (თანდართული დოკუმენტებით) გაცემის ვადა - სტუდენტის მიმართვიდან 1 კვირა.

III. განისაზღვროს 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში მობილობის მსურველ პირთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა:

- განცხადება (რექტორის სახელზე);
- სრული ზოგადი/უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- პირადობის მოწმობის ასლი;
- სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ვაჟებისთვის);
- სტუდენტის სტატუსის განმსაზღვრელი ყველა სამართლებრივი აქტი;
- სტუდენტის სასწავლო ბარათი (დამოწმებული ფაკულტეტის ბეჭდით და დეკანის ხელმოწერით).

IV. მობილობის პროცესის ადმინისტრირება დაევალოს ვიცე რექტორს სასწავლო პროცესის მიმართულებით;

V. სასწავლო უნივერსიტეტში გადმოსვლის მსურველთა კრედიტების აღიარების პროცესის კოორდინირება დაევალოს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს უნივერსიტეტში მოქმედი შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად;

VI. მობილობით გადმოსული სტუდენტების მიმდინარე წლის გაზაფხულის სემესტრის სწავლის საფასური განისაზღვროს 800 (რვაასი) ლარით.

VII. ბრძანების სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება დაევალოს სასწავლო უნივერსიტეტის მარკეტინგისა და სტრატეგიული კომუნიკაციების სამსახურს.

VIII. დაევალოს კანცელარიას ბრძანება გადასცეს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

IX. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის

რექტორი, პროფესორი
გიორგი მათიაშვილი

კანცლერი
ელისო ელისაშვილი